საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გოგიჩაძე გიორგი კონსტანტინეს ძე

გოგიჩაძე გიორგი კონსტანტინეს ძე (დ. 28. X. 1941, თბილისი), ბიოლოგი. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1983), პროფესორი (1991), ევროპის სამედ. ონკოლოგიის საზ-ბის (ESMO) საპატიო წევრი.

დაამთავრა თსუ-ის ბიოლ. ფაკ-ტი (1964). 1964–66 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ბოტანიკისა და თბილ. ონკოლოგიის სამეცნ.- კვლ. ინ-ტებში სხვადასხვა სამეცნ. თანამდებობაზე, 1970–94 – ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში ელექტრონული მიკროსკოპიის ლაბორატორიის ხელმძღვანელად.

გ. იკვლევს სიმსივნური ზრდის უჯრედულ მექანიზმებს, ისევე როგორც შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომის (შიდსის) განვითარების შესაძლებლობებს. 2005–07 იყო თსსუ-ის ფსიქოთერაპიისა და ფსიქოსომატური მედ. ფაკ-ტის დეკანის მოადგილე. 2007-იდან ამავე ინ-ტის მიკრობიოლ. და იმუნოლოგიის დეპარტ. ხელმძღვანელია. ეწევა აგრეთვე პედ. საქმიანობას, არის თსსუ-ის ბიოლ., სამედ. გენეტიკისა და მიკრობიოლ. კათედრის პროფესორი.

გ. ავტორია სამედ. ტერმინოლოგიის ქართულ-ინგლისურ-რუსულ-ლათინური ლექსიკონის და 4 გამოგონებისა.

თხზ.: ბიოლოგიისა და მედიცინის დრამატული ფურცლები, თბ., 2009; Соматическая гибридизация и механизм злокачественной трансформации клеток, Тб., 1993.

ი. ჯაფარიძე